სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #54

ქ. ბათუმი 28 აპრილი 2011 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის ტურისტული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა კახიძის სახით და მეორეს მხრივ ინდივიდუალური საწარმო ჟუჟუნა მაკარაძე (შემდგომში – „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგი შინაარსით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი აწვდის შემსყიდველს 2011 წლის 29 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით ბათუმის ახალ ბულვარში, მე-4 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „ექსპო ბათუმი 2011"-ისათვის:

ა) ბეიჯების ზონარი (250 ცალი, ღირებულება 375 ლარი);

ბ) ბეიჯების ბუდე (1000 ცალი, ღირებულება 600 ლარი);

შემდგომში მომსახურებას, ხოლო შემსყიდველი თანახმაა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

1.2 ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 975 (ცხრაას სამოცდათხუთმეტ) ლარს, რომელშიც შედის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახები.

2. ანგარიშსწორების წესი

2.1 მხარეებს შორის ანგარიშსწორება არის უნაღდო. შემსყიდველის მიერ მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ინვოისის საფუძველზე მოხდება 2011 წლის 15 მაისამდე.

3. მხარეთა უფლება –მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება;

ბ) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ქმედებები.

3.2 მიმწოდებელი ღებულობს ვალდებულებას:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

4.1. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკ-რულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს თითოეული მხარე ვალდებულია წარუდგინოს მეორე მხარეს მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

5.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკ-რულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5.4. საჭიროების შემთხვევაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება გადასინჯულ იქნეს ხელშეკრულების პირობები.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშ-ირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით ან ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შეს-რულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქცია თითოეული მხარისათვის შეადგენს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდე-ბულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 20 მაისამდე.

8.2 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ორი დღით ადრე.

8.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ არბიტრაჟს.

10. გამოყენებული სამართალი

10.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

11.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

12. გადასახადები და ბაჟები

12.1 მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების და მოსაკრებლების გადახდაზე თავიანთი ვალდებულებების ნაწილში.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი *ა(ა)იპ ბათუმის* *ტურისტული სააგენტო*	*მიმწოდებელი* *ინდივიდუალური მეწარმე* *ჟუჟუნა მაკარაძე*
ბათუმი. ზ.გამსახურდიას №1/5 *საიდენტიფიკაციო კოდი: 445388054*	*ბათუმი, მ.აბაშიძის №35* *საიდენტიფიკაციო კოდი 61001034219*
	სს "პროკრედიტ ბანკი" *ბანკის კოდი 220101901* *ანგ. №360201010301304*
დირექტორი	
გოჩა კახიძე	*ჟუჟუნა მაკარაძე*